

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაშრათი

**რედაქცია:** სოლოლოაჟე, სერ-გეივის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერ-გეივის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

**ბელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. ბარზე მცხოვრებთათვის: В. Т. შ. В. редакцiи газ. „Дрoбa“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე. **ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უშუალოდ** აქვს გასწოროს და შეაკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ყოველ-დღიური გაზეთი

### „დროება“

**ბელის-მოწერა:** მთელისში, რედაქციის კანტორაში (სერგეივის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8).

**ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის** აღრესი: В. Т. შ. В. редакцiи газеты „Дрoбa“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

**პირველი ივნისიდან გაზეთი წლის დამლევამდე ღირს—5 მანეთი.**

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისათვის უნდა იქმნეს რედაქციაში გამოგზავნილი.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ბერლინი, 2 (14) მაის.** ბუშინ ნაშუადღევს 2 საათზე გაიხსნა კონგრესისი კანკლერის სასახლეში. ბუშინ სალამოს ო. მალოს დელეგატები მოვიდნენ.

**ანდრასიმი სტეკა:** ბიკონსტილდის ამორჩევას კონგრესისის პრეზიდენტად მოითხოვს საზოგადო პატივის-ცემა, რომელიც იმან ყველასაგან დაიმსახურა თავის გამოჩენილის ღირსებაებითა.

**მენა, 1 ივნის.** „პოლიტიკურს ძორჩესპონდენტიაში“ იწერებთან: რადგან რუმინიამ განაცხადა დიდი უკმაყოფილება რუსეთის ჯარის პატეშტისაკენ გაწევისათვის, ამის გამო ღნ. დრენტელმა რუსის ჯარები ათს ვერსზე დასწია რუმინის ჯარებიდგან; მეორე მხრით იმან უბრძანა ჯარებს ჩილიპეშტისაკენ წინ გაწევა.

**პეტერბურლი, 1 ივნის.** „მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია: დღეს ხელმწიფე იმპერატორი სიცხე ნაკლებათ ჰქონდა; ღამე ცუდათ გაატარა; კიდევ უსტად არის.

**ბერლინი, 31 მაის.** საკავშირო რჩევამ ერთხმად გადაწყვიტა იმპერიის პარლამენტის დახურვა.

ღამის 10 საათზე აქ მოვიდნენ: ლორდ ბიკონსტილდი, მარკიზ სალსბიური თავის შვილით, შუელოვი და შბრი.

ბერმანის იმპერატორი დღეს უკეთ არის; ფანჯარასთან იჯდა კრესლაში და წმინდა ჰაერის სუნთქვით სტებებოდა.

**მენა, 31 მაის.** შაზეთ „Polit. Corresp.“-ს სწერენ ბუხარესტიდამ: მეთერთმეტე კორპუსი რუსის ჯარისა პატეშტისაკენ იწეეს და პიტუგოლეშტამდინ მივიდა; ამ ნაირად, ამ ჯარმა მოსკოა ბუხარესტი, ე. ი. ის ჩაღვა რუმინის ჯარსა და ბუხარესტს შუა. რუმინის მმართველობა ოფიციალურად ჰკითხავს რუსეთს—თუ რა მიზანი და მნიშვნელობა აქვს ამ ჯარის ამ გეარს მოძრაობასა და თუ ამ კითხვაზე ჯეროვანი პასუხი ვერ მიიღო, მაშინ ის მეკოპის უმთავრესს სახელმწიფოებს შესწივლებს რუსეთის ამისთანა მოქმედებაზედ.

**რამზუზა, 31 მაის.** ჩერნოგორიის სენატორი მიშა მზბიცა სკუტარაში წავიდა იმ განზრახვით, რომ მოსკოს ო. მალეთთან ყოველი უთანხმოება, ჩერნოგორიელებს აცნობეს, რომ ისინი მდ. ლიმნიცას არ უნდა გადასცილდნენ. ჩერნოგორიის მთავარმა გამოუცხადა ოსმალოს სკუტარის ღუბერნატორსა, რომ ის ეცდებოდა არაფითარი უკმაყოფილება არ ატესხოს ოსმალეთთან; მაგრამ ენერგიულად დაცვაეს თავის სამფლობელოსა.

**ბერლინი, 31 მაის.** ბიკონსტილდი, სალისბიური, ანდრასი, მორჩაკოვი და ძორტი მოვიდნენ კონგრესზე. სახელმწიფოები ამ წესით იქნებიან კონგრესზე: ბერმანია, ავსტრია, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, რუსეთი და ო. მალეთი.

დღეს ბერმანის ტანტის მემკვიდრე ინახულებს საკოროლო სასახლეში კონგრესზე მოსულ სახელმწიფოების დელეგატებსა.

იმპერატორის ბრძანებით, მომავალ იმპერიის პარლამენტის წევრების კენჭის-ყრა დანიშნულია 30 (18) ივლისისათვის.

იმპერატორს ხელახლად შეუხვიეს ჰრილობა და ამის შემდეგ კიდევ კრესლაში ზის.

მაგიდა თუარა ბეკონსტილდი ბქრლინში, იმწამსვე წავიდა ბანშარკთან და საათ ნახევარი დაჰყო მასთან.

**პეტერბურლი, 1 ივნის.** „მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია: წუხანდელი ღამე ხელმწიფე იმპერატორს მშვიდობით გაატარა; სისუსტე თანდათან კლებულობს; სიცხე ნაკლებათ აქვს.

ბუშინ მოვიდნენ აქ მდინბურგის ჰქრცოგი და ჰქრცოგინა.

**სტამბოლი, 1 ივნის.** ლენერალური შტაბის აფიცრებმა ამოიჩინეს აღვლილი ადრიანოპოლიდამ 10 ვერსზედ იმპერატორის გეარდის დააბანაკებელად.

ბოლგარიის ეგზარხოსი ჩილიპოპოლში წავიდა.

როდოპის მთებში ამ უკანასკნელს დროს რამდენიმე შეტაკება მოხდა რუსის ჯარებსა და აჯანყებულ მაჰმადიანებს შუა. რუსის ჯარები ცვენ მათარბაზარჯყა და სოფიას შუა გზას.

**ბერლინი, 31 მაის.** ბიკონსტილდმა მიიღო დღეს შუადღევს ანდრასი, შემდეგ შუელოვი.

**პეტერბურლისბირჟა, 2 ივნის.**

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი) მან. კაპ.

ლონდონი	—	24—50	„	„
ამსტერდამი	—	124—50	„	„
ჰამბურგი	—	208—50	„	„
პარიჯი	—	257—50	„	„

შანაგანი: 5% სესხის ბილეთები  
პირველი სესხის — — 238—75  
მეორე სესხის — — 233— „  
ბანკის ბილეთები:

პირველი გამოცემის	—	98—50
მეორეჯი	—	95—62
მესამესი	—	95—62
მეოთხესი	—	95—26
აღმოსავლეთის	—	94—75
ოქრო, 1/2 იმპერიალი	—	7—92

# საქართველო

მცირე რამე უნდა ვთქვათ \*

არ-დასავიწყებელმა მორონცოვმა საქართველოს ასადგენად სხვათა შორის მის მწერლობასაც მიაქცია ყურადღება. მის დროს გახლდა სტამბა, გამოცემა ჟურნალი, გაიმართა თეატრი და ამოყველამ, პირველბიჯს რომ შეეფერებოდა იმაზედაც მეტი ნაყოფი მოიტანეს.

წავიდა ის დრო. მაჟუნ მეოთხედმა საუკუნემ გაიზარა. ბევრი აღმა იხნა და დაღმა იფარცხა. დრო საზოგადოთ წინ წავიდა, სწავლა მეტი შემოვიდა ჩვენში, საშუალებაც გამრავლდა; შევექაშებეთ ზეციურ-მნათობებს: გამოვეციც „სისკარი“, „მნათობი“, „ძრებული“, „საქართველოს მოამბე“, „ივერია“ და სხვა. მინც აღრე ლობიოს ამოსრესაც არ იცოდა, ისინიც კი წაგნებდა სცემენ დღეს; — მაგრამ ლიტერატურა კი უკუღმართობაში შევიდა.

სამრავლემ ვერა უშველა-რა! ბაბედვით ვიტყვი, რომ ამ უკანასკნელს დროს ლიტერატურა შეგ-ლაქათ დარჩება ჩვენს ლიტერატურის ისტორიაში.

და რისი ბრალია? — დრო და ვითარების.

ამ რამოდენიმე წლის წინეთ ერთის კეთილ მოსურნეს სტატია იყო დაბეჭდილი „ძრებულში“ — „შეერთებული შრომა“; აქტუალი ესაყვედურებოდა თანამედროვე მწერლების უნაყოფიერებაზედ, და სამაგალითოდ მახტანტყვისა და მახუშტი ბატონიშვილის დროის, მწერლებზედ უკითხებდა.

ეს მე ირონია მკონია!

საქართველოს ძველი მწერლები უზრუნველები იყვნენ. მათი საქიროება და ყოველ-გვარი მოთხოვნილება, როგორც მატერიალური, ისე ზნეობითიც, რომ უნდოდა, იმაზედაც მეტათ იყო დაკმაყოფილებული: ბატონი მწყალობელი ჰყავდათ და ხალხი ძადრიელი.

თანამედროვე მწერალი რაღას უნდა ელოდეს?

მინ არ იცის, რომ ჩვენში მწერლობით და საზოგადოებისათვის თავგანწირულის შრომით კაცი თავს ვერ ირჩენს მაშინ როდესაც ვინმე ადვოკატი ანუ მოსამსახურე პირი, რომელსაც თვინიერ გაიჭერაობის და ცუდლუჭკლიაუზობის გარდა, არც დიდი სწავლა, არც ნიჭი და არც შრომა არ ეჭირვება, პატივ-დიდებაში და კეთილ-დღეობაშია. ამ გვარ პირისაში რომ კაცია მაინც კიდევ გაიმეტოს თავი და საზოგადო საქმეზედაც იფიქროს, პირადობის გავწირვით, დასტურ, უნდა რომ ქართველი იყოს!

\*) თუმცა ჩვენ არ ვეთანხვებით ამ „შენაშენებში“ გამოთქმულ ზოგიერთ პაზრებს, მაგრამ ეს სტატია ისეთი ორგინალურია და ისეთს საინტერესო საგნებს ეხება, რომ ხელ-უხლებელად ვებეჭადეთ.

და მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ არ გამქრალა ჩვენი ქართველ-სულობა! ღლითი-დღე მომეტებულად ახალგაზღობა გამოდის სამუშაო ასპარეზზედ; არ უდრკება აუცილებელს უსიამოვნებას და მოთმინებით იღვწის; იმან კარგათ იცის, რომ ლიტერატურა ხალხისათვის სიკეთეში გადაწყვანი ხიდა და ფონი! როგორც კეკელუცისთვის სარკე ისეხალხისთვის ლიტერატურა ხაჭარია, რომ შიგ ჩიხედოს და თავს სახე მისის ღარსებით და ნაკლულეფანებით დაინახოს.

აი ამის ბრალია, რომ ჩვენი მწიგნობრობა ხშირდება. დას, ხშირდება, მაგრამ ვაი, რომ მაინც უნაყოფოთ რჩება!

რას მივაწეროთ ეს? ნუ თუ შრისთა-ვები, ანტონოვები, იოსელიანები და სხვა მორონცოვის დროის მწერლები უფრო ნიჭიერები და სალიტერატუროდ მომზადებულები იყვნენ, ვიდრე ჩვენი დროის მშრომლები? რა ბრძინებაა? ლიტერატურულ მომზადებაში ისინი დიან უკოდველები იყვნენ და ნიჭითაც დაბლა იდგნენ ზოგიერთ ახლანდელ მწერლებზედა; მაგრამ ის ნიჭი შერჩათ იმათ ბოლომდე, მაშინ, როდესაც ახლანდელ მწერლებს კი მალე ულადებათ. მაგალითად მოვიყვანოთ შალა-დიდელი. მასი პირველი ბიჯის გადმოდგმა ლიტერატურაში ძლიერი და საიმედო იყო. მაგრამ დღეს სად არი? ზარბაზნის კომში გამოახვია ის ნიჭი!... მხელმა შელახა თავისი ნიჭი, მარდახეწილმა არად ჩააგდო და მკველემ ჩახოხბ-ჩაამწყურა!... მაგრამ რაღა ამათხედ ესთქა, რომ ანტონ შურცელაძემაც წმინდა ბოროტის უღელი მოხსნა თავის მწერლობას და არაყის სუნი აუდინა!...

თუ კი ამ ძლიერ ნიჭებმა (?) წაიბოძიკეს, რაღა თქმა უნდა, რომ სხვებს უარესიც მოუფიქრდათ და მართლათაც სანამ ჩვენი ლიტერატურა მრუდე გზაზედ იდგება, ბევრი ნიჭი მოიტებს კისერს უნაყოფოდ.

ახლა ისიც გასინჯეთ, თუ რა ცოდვა ატყინებს მათ კისერს? და რა ატუდებს, აჭიანებს ჩვენს ლიტერატურას?

ჩვენი საქართველო სხვა რომელიმე ქვეყანასავით ერთ-პირად გაშლილი არ არის. ის არის სხვა-და-სხვა კუთხეებისაგან შეხამებულ-შეფერდებული. თქვეთულ იმ კუთხეებთაგანს თავისი საკუთარი ფერ-ხორცი აქვს. მათი ხალხი, თუმცა ტომით და ენით ერთნა არიან, მაგრამ კილო კი თავ-თავისი საკუთარი აქვსთ; ამას ისიც დაემატოთ, რომ ამ სხვა-და-სხვა კუთხეებს სხვა-და-სხვა შემთხვევები ჰქონიათ და სხვა-და-სხვა გავლენას ქვეშ ყოფილან ხოლმე; მაგალითად შავისზღვის-პირელ ქართველებზედ დიდი გავლენა ჰქონდათ ბერძნებსა და რომაელებს, იპერეთზედ — მსხალებს და მართლ-მანებლებზედ კი — მონგოლ-სპარსელებს; ამის გამო ბევრი რამ ძველ-პური ზნე და ხელოვნება ამოიფხვრა ერთ კუთხეში და მეორეში კი დარჩა; აგრეთვე ბევრი ახალი რამ შემოვიდა ერთს კუთხეში, ან ერთს მხარეში და

მეორეში კი არა. და მამასადამე ვისაც უნდა, რომ საქართველო გაცნოს, უნდა ყოველი მისი კუთხე შეისწავლოს, თორემ მარტო მახტანტყვის, მანასხის, ან იპერეთის, ან სამეგრელოს, ან მეორის და ან სხვა რომელიმე კუთხის შესწავლით ვერას გახდება.

ჩვენი ახალ-გაზღობა, ჩვენი თანამედროვე მწერლები არა თუ საზოგადო, კერძო გაცნობასაც მოკლებული არიან. ან კი რა ქნან? სიყრმიდგანვე მოხლეტილებს, მათ მშობლიური არა ჰქვდებათ რა გულზედ, მიდიან უცხოეთში, იქ სხვაფერდებან და ბოლოს რომ დესაც გონებაში ჩახვდებიან, უნდათ ქვეყანას არგონ და სამშობლოს წელული გაუკურნონ. მაგრამ რა გვარად? ჩვენში ექიმებმა იციან, რაც უნდა გტკივოდესთ, მაშინვე მზათა აქვთ ქინაქინა ისინი; არც ავითმყოფის ბუნებას დაგიდვენ, არც ავადყოფობის მიზეზს და არც სხვა რამეს; თუ მორჩა, ხომ კარგი, თუ არა და რა ჩემი ბრალია, ცდა არ დამიკლიათ! იქას არ უყურებს: ცივ ქვეყანაში შედგენილი რეცეპტი და იქ შეზავებული წამალი ხამოსადეგი იქნება თუ არა, ცხელ-ქვეყნისათვის.

ღმერთთან სწორი სჯობს, ესევე ემართება ჩვენებსაც: ამას ნათლად გვიჩვენებს ჩვენი ახლანდელი ლიტერატურა, რომელშიაც მშობლიური, ნაციონალური არა არის-რა. ის არის მხოლოდ მონური მიბაძვა რუსულ ლიტერატურისა.

მამ ახლა ისიც გავსინჯოთ, თუ რა არის და როგორი ის ჩვენი მამხიბლავი და შემცდენი ლიტერატურა.


(დასასრული შემდეგ №-ში)

## დღიური

\*\* ჩვენს ოფიციალურს გაზეთში გამოცხადებულია შპალესი ბრძანება, რომლის ძალითაც ჩვენში ხელ-მეორედ უნდა მოკრიბონ ჯარები; თვლისის გუბერნიის მცხოვრებლებისაგან უნდა შესდგეს თვლისის შემონახული (запасная) დრუჟინა და მუთაისის გუბერნიაში მე-3, მე-4 და ქვეითა დრუჟინა, აგრეთვე ბურის ქვეითა დრუჟინა.

შველა ამ დრუჟინებისა და აგრეთვე მუთაისის ცხენოსანი ირეგულარული თავად-აზნაურთა პოლკის უფროსობა მინდობილი ექნება დევერალ-მაიორს შალიკოვს; მუთაისის ქვეითა დრუჟინის კამანდირათ მაიორი თ. ლორთქიფანიძე, თვლისის ქვეითა დრუჟინის კამანდირად იქნება თ. მსტატე მახვანოვი და მე-2 ქართველთა ქვეითა დრუჟინის უფროსად თ. დიმიტრი მახვანოვი.

\*\* ის ავაზაკები, რომელნიც გასულ წ მაისს დაიჭირეს ჰავლაბარში და რომელთაც ძასუმოვის, მქოევის, ალამა-



ზოგის დაჭრასა და გაცარცვას აბრალევენ, უაღლოესი ბრძანებით, სამხედრო კანონებით იქნებიან გასამართლებელნი.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ იმ ცხრა კაცს გარდა, რომელნიც 5 მაისს დაიჭრეს ერთად ჰავლაბარში, რვაც კიდევ სხვა დაუჭერიათ მას შემდეგ; ამათში ერთი მოძვედარა. ასე რომ ახლა სულ 16 კაცი იქნებიან სამხედრო სამართალში მიცემულნი.

აპობენ, ორი ძმის შუზანოვის მაგალითი ახსოვთ ამათაო და ამის გამო ძალიან ეშინიანთ სამხედრო სასამართლოსიო.

\* \* \* ძველსის სამასწავლო მაზრის ცირკულიარში № 4 დაბეჭდილია, რომ შათის უფზის სასწავლებელი, რომელიც ომიანობის გამო შარშან დაიკეტა, ახლა ხელ-ახლად იხსნება და ამ 1 ივლისიდან ორ-კლასიან სასწავლებლად უნდა გადაკეთდესო. ძალაქს დაუქარავებია ამ სასწავლებლისათვის თავის ხარჯით კარგი, მოთავსებულნი სადგომი.

\* \* \* თეილისის სანიტარული კომისიის ჩიუვლით, ძალაქის მომრიგებელ მოსამართლემ სადგომების ბინძურად შენახვისთვის, სხვათა შორის, მებრიელ მინაიხის მარზოვეს, შეიღჯერ მილიონერს მირზოვეს, გარდაუწყვიტა ათი თუმანი ჯარიმა და „თუ ამ ჯარიმას გადახდას ვერ შესძლებს, ერთი თვე უნდა დატუსაზდესო!“

\* \* \* ამ დღეებში ჩვენ გადმოვბეჭდეთ „მარზორიდა“ ამბავი; რომ ქუთაისის ქართული სცენის მოყვარენი მხოლოდ თაენთ სასარგებლოდ აპირებენ შემდეგში წარმოდგენების გამართვასო.

მაშინვე გამოვაცხადეთ ჩვენ ეჭვი—ეს ამბავი მართალი არ უნდა იყოს-მეთქი. მართლაც შემოხსენებული ვაზეთის უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია, რომ ეს ამბავი ტყუილი გამოდგომს, ქუთაისის სცენის მოყვარეთ მხოლოდ ის გადაწყვეტილება მიუღიათო, რომ ხანდისხან, თუ როგორღმე ამ მოყვარეთაგანი ძალიან გაჭირებული იქნება, ამ შემთხვევაში ეცდებიან ისინი თავის ამხანაგის შეწყენას წარმოდგენიდან შემოსული ფულების მიცემით ან სესხებით.

„დ რ ო მ ე ბ ა“ კორესპონდენცია

სიღნაღი. 30 მაისს. ჩვენი პატარა და ბუნებით შემკობილი სიღნაღი აქოთქოთებულია ისევ ამ ომის ხმებისაგან. ბრძანება მოვიდა, სამილიციოთ ხალხსაჰკრეფენ.

მარტო ს დნალზეა ასადები 25 კაცი, —ამოტელა კიდევ კანდიდატები. საჯარო გადახდევინებისაგან თავისუფალნი არიან

გილდიის ვაჭარნი; სხვებს სუყველას ერთად ხვდებო.

ამორჩევა უნდა წილის-ყრით მოხდეს: წილის-ყრასაც თავისი გაიძვერა სარო აქეს. იქნება ღმერთმა ბრძანოს და ამ წილის-ყრას სიმართლიანი მიმართულობა მიარგინონ; მაგრამ ეჭვი ვართ, რადგან პირველსავე დღეს ხმა გამოვიდა, ვითომც ბუკბულაზები აპირებენ ომნაირათ მოახერხონ წილის-ყრა, რომ შუგ მოიტანოს გახალასებული ბაზრის ბიჭობა. „შრიგო არ იქნებაო, რომ საზოგადოებამ თავის წრიდგან განუტყვეოს მოუხვეწარი და მახწეწარი წევრებიო. მაგრამ ამ გვარ დაფარულ საშუალებით კი უსამართლობა იქნება და შეუტყეს—ვერც აღასრულებენ თავის განზრახვას.

ეს ცხელ-ცხელი ამბავი გახლავთ ჩვენში. სხვა არ არის-რა ახალი ჩვენ მთვარეს ქვეშ,—რაც იყო, ისევ ის სუფევს; წინეთაც სისხლი იღვრებოდა, აქამდისინაც უფზი მონა იყო თავის უმეცრებისა და გაბერილი მეღუქნისა და მევექსელისა—ენლაც მისი უჯამაგირო მოჯამაგირეა ვენახში და სახნავ-სათესში.

ხამ მოგესხენებათ მევექსელს სინიღისი, მისი სინიღისიანი გლეხ-კაცთან მეგობრობა და ნათლიაობა. სანამ საცოდავს ჰქონდა რამე, მისი ღალა და მოსავალი წვრილ-წვრილათ წუწნა: ცხრიდგან ყველს იღებდა, მაშინვე მევექსელე—ნათლია წაიღებდა; მატყლის ფულს აიღებდა, ისევ ის მევექსილე ნათლია ჯიბეში ბეჯითად ჩაითვლიდა; ვენახში ღვინოს დააყენებდა, პირველად მევექსელე—ნათლია მიითვრებოდა.

წურბელა—ნათლიამ წუწნა, წუწნა, რომ სულ გამოწუწნა ასე რომ გლეხს ღალა აღარაფერი რჩებოდა, მაშინ ნათლიამ „შინაურულათ, ემე, ნათლიაობა გაუწივა“: აიღო და ცივარიც ჩამოართვა, ვენახიც ტორგით გაუყარა და სახლიც საჩარდახეთ ვენახში ჩაიტანა! ბღენი ნათლიამ ტიტველა გაუშვა და რას უშავს: იობიც ცარიელი იყო ეშმაკი ხელში, რომ იძახოდა: „ღედის მუცლიდგან შიშველა გამოველი და ისევ ტიტველავე მიწათ ვიქცევი.“

ამას უხარიათ, ფუფუნებს—ოხერი ცხოვრება ვის არ გაუხარდება: ფენშიშველა მეწვრიმალე, რომელიც მარტო გამხმარ პურსა და ყველზე თავს იხრჩობდა, გლეხის—ნათლიამისაგან სახლიც გაიკეთა, კარგი ცხენიც დაიბა, ვერცხლის ქამარიც შემოირტყა, რუსული ქუდიც დაიხურა, ორიოდე მიმტყრეული რუსულიც ისწავლა, ღვინის ფასში დიდი მოგებაც „ქნა“—ერთის სიტყვით, გამდიდრდა, აიგო, გაძღა.

ბღენი—კი ნაცარივით გაქრა, აღარც სახლი აქეს თავი შეაფაროს, აღარც სამუშაო პირუტყვი ჰქავს, აღარცა-რა ზედ აცვია და ნახევარზე მშვიერი გღია. ღლიღლიურათ როგორც არის მიათრევს თავის სიცოცხლეს; ჯერ არავის არ აწუხებს. სახელმწიფო ხარჯს კი ცოტა არა ვეღარ აძლევს; ვერც ჩაფარი და ვერც

გზირი სახელმწიფო ფულს ვერ ართმევენ—მარტო ძელები შეჩვენივს-ტაქსირას წართმევენ!

აა მაშინ-ლა მოსივეს თავზე ხელი, ხოლო მაშინ-ლა შაიტყეს—თუ პატურას, ტერას, შაზიას, ძარაპეტას რა შიანი მიუციათ სახელმწიფო ხაზინასათვის.

ხოლო მაშინ-ლა გამოვიდა ცირკულიარული ბძანებები, რომ სახელმწიფო მამული არა შემთხვევით არ შეიძლება გაიყიდოსო. ასატურებს ელდა ეცათ,—იურისტებს დაეკითხნენ, თუ რაიმე ქნან, მამული არ გაიყიდებო? რა საკვირველია, იურისტებმა მოახერხეს: სამ თუმან ასატურას ვალში იყიდება ბოხა შიშველა-შვილის ვენახი, დაფასებული ორორ თუმნათ, უმიწოთ! შიწო ვენახი გაიყიდება ჰაერში და ჰაერში გაკეთებული ვენახები ჩვენში მოღათ შემოვიდა. თუ მოედევები ვისმე, თუ რათ გაუყიდნია მანანი ვენახი, როდესაც ეს აკრძალული იყო მთავრობის ცირკულიარითაო, მაშინვე იურდიკული სიამბარტაენით გიპასუხებენ: „მე ამა-ღამ კანონის ძალით გავვიდე ცარიელი ვახები ტორგით და მიწა არ გამოიყიდა!“ ამ ხრიკმა მთელი უფზის ვენახები ასატურებს ოც-თუმნათ ხელში ჩაუკლო. ასატურებს გაუხარდათ, ვაჭრობას თავი დაანებეს. „მც თუმნათ ვენახი მიქნია, წელიწადში ორას თუმნის ღვინოს გავყიდი!“

მხერმა ტაბლამ მიიტყუა და ბოლოს ოხრათლა ისევ რჩებათ. მენახებსაც ვეღარ აკეთებენ, ხელი არ იციან, მოსავალიც იმდენი აღარ მოხდით და თან-ღათან სიკოტრეს უაზლოვდებიან.

(დ.სასრული შემდეგში)

ომის აზვები

ომის უამდვ

მაზ. „ნოვოროსისის ტელეგრაფი“ გვაცნობებს, რომ მარტო ღუთაის არმიის 300 ინტენდანტის ჩინოვნიკი არის სამართალში მიცემული თაენთ თანამდებობის უპატიოსნოდ ასრულებისთვისო. ამ სამას ჩინოვნიკში 40 პოლკოვნიკი ურევიაო.

„Indép. Belge“ გვაცნობებს, რომ კონგრესი ათ დღეზე ანუ ორ კვირაზე მეტს არ გასწევსო; რადგან რუათი და ინგლისი დათანხმდნენ უმთავრესსაგანებში, ამის გამო კონგრესს სან-სტეფანოს მორიგების მხოლოდ ისეთს პუნლებზე ექნება მოლაპარაკება, რომელნიც მპროპოს რომელიმე სახელმწიფოს პირ-და-პირ ინტერესს შეეხებო.

ლორდების პალატის სნდომაში მარკიზ სალისბიურიმ სთქვა, რომ კონგრესმა უეჭველად სომხების მდგომარეობაზე უნდა მოილაპარაკოსო, რადგან ამ საგანზე სჯა ინგლისს ჰსურსო.



# განსჯაღებანი

იპიკდება და მოკლე ხანში გამოვა „მული, რძალი და მარხები“ სამ-მოკმედებიანი დრამა ალ. ა. თუთაიას (5-3)

გამოვიდა და ისეილება

## „თავარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოკმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდან, გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მუსხისაგან.

ისეილება: თფილისში — ყველა წიგნის მაღაზიებში, შუთაისში — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ემისი რაზრი.

(5-3)

## ტყაპის ქარხანა თფილისში

დამოქნის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირდაპირ, სახლის № 22.

პატივი აქვს აცნობოს იმ პირთ, რომელნიც ტყავით ვაჭრობენ ანუ თავიანთთვის სასყიდლად ეჭარებათ, რომ ამ ქარხანაში კეთდება და მუდამ მოიპოვება დამზადებული ყოველგვარი ტყავი წალავისთვის, უნაბიკისა, კარბის და ფაბრინებისა, ჩამხებისა და სხვ.

ნარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტონში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრეთვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუკეთონ და გაუკეთებენ. წვრილ-წვრილად ამ ქარხანის საქონელი ისეილება მაღაზიაში, სიონის პირ-დაპირ.

### მ. გორხი არის ხუთ-თვალნიანი

გასაძირავებელი სახლი

უფ. შურულინა თავის სამზარეულოთი, სარდაფითა და ეზოთი.

სახლი დგას როტონდის გვერდით. ფასისა და სხვა პირობების შეტყობა შეიძლება ბორში უფ. ალალო თუთაიასთან.

(3-3)

უფროსის კლასის გიმნაზიელს ჰურს აძლიოს გაკვეთილება პროპინაზიის საზნაობიდან.

მსურველს შეუძლია აღრესი იკითხოს ფორტაში, ჩინოვნიკ შაშელთან.

(5-4)

### ვისაც ჰსურს მოიპოვოს ახალი

კეპრი შეუძლიან მიჰპართოს ნ.

პეალიდილოს, (ტუკიაში, მლისავეტინსკის ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კეპრების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში

## ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

ბარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაინბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის აღრესით: Въ Тифлиси. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

### გამოვიდა და ისეილება

„სოლი ვიტირო, თუ ფული? კამედია ალ. თუთაიას“

ისეილება: ქალაქში — ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს. ჯამშეროვთან, თელავს — ი. ვ. ტუხმანაშვილთან, ქარელს — დავით ქუროჩაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუბნის უჭეტში, სურამს — ზ. კარია ალუწოვთან, ქუთაისს — ი. კობ. მკანეზოვთან და ს. ცუკუაძესთან შოთში — მლისბარ ბაბლოვთან, ცხინვალს — თ. ი. თაქაჩოვთან, ს. ქაშვეთს — თ. ნაკ. დ. აპიდესთან, მეჯურის ხევს — მასწ მასენ თაძესთან, ბორში — ს. ზამოვეთან და თვითონ ავტორთან.

დაიბეჭდა და ისეილება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში:

## ბატონის შვილი

ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება მართვალთა მამოცემულო ზაქარია ჰკინაძისაგან. ფასი ემისი რაზრი

შუთა სში

ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისეილება:

- 1) დედა მნა. ი. გორჯი ჰილისა, ფასი 45
  - 2) ანუა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა ბრ. რჩეულოვისა თასი 20კ.
  - 3) სოლი ვიტირო, თუ ფული? კამედია ალ. თუთაიას, ფასი 30 კაპ.
  - 4) მუხხის ტყაოსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
  - 5) მუხუ ლირი, დრამა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.
- და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო ლიტერული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

რკ. ზნა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	წ. კაპ	გაყანადა	თფილისის სამკურნალო
თფილისი . . .	9 21	5 18			მც. სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 30 მაის.	მრეკ ის მაედახე, წინამძღვაროვის სახლები . . .
მცხეთა . . .	10 11	6 27	68	38	ქუთაისს, შოთს . . .	1	ქვე. თეთ. ბანჯისა, ფთ.	145
ბორი . . .	11 58	9 43	2 40	1 33	ბორს, დუშეთს, სიღნაღს . . .	50	ქვეილი წითელი . . .	120
ხაშური . . .	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდებსას, მოსკოვს . . .	2	ქერი ფუთი . . .	115
სურამი . . .	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, მარშავს . . .	2	ბაბა მრეგნისა, ფუთი . . .	750
შკრილა . . .	5 49		5 81	3 23	მსხალეთში, შევიცარიაში . . .	3	— ამერიკისა, ფუთი . . .	850
რიონი . . .	6 57		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში . . .	3 50	ბაგენტილი ბაბა ფუთი . . .	10
სამტრედია . . .	7 51		7 73	4 29	ინგლისში . . . . .	3 75	მატყელი თუშური ფთ. . .	650
ახ.-სენაკი . . .	8 43		8 57	4 76	ფოტა		— თარაქამისა ფთ. . .	50
ფოთი . . .	9 50		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. მსურ. — პარასკ. და ორშ. ტახეს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ.		აბრეშუმი ნუბური სტ. . .	2
შოთი . . .	9 83						ქონი, ფუთი . . .	620
ახ.-სენაკი . . .	10 14		1 18	66			ქონის სანთელი ფუთი . . .	8
სამტრედია . . .	11 5		2 6	14			სტერინის სანთელი, ფ. . .	1280
რიონი . . .	12 13		3 4	69			ხორცი ძროხისა, ლიტ. . .	99
შკრილა . . .	1 18	დაბე	3 98	21			— ცხვისა, ლიტოა . . .	99
სურამი . . .	5 12	1 10	5 33	2 96			სპირტი, ვედრო . . .	520
ხაშური . . .	5 39	1 37	5 84	3 24			შაქარი, ბოლც. ფუთი . . .	780
ბორი . . .	7 5	4 8	3 64	9			— ფხენილი ფუთი . . .	6
მცხეთა . . .	8 50	6 59	9 85	4			ქავა გრგვალი, გირე . . .	70
თფილისი . . .	9 31	7 56	9 75	5 42			ზეთი ქუნჯულისა ფუთი . . .	13
					წიგნის გაგზავნა რუსეთში . . .	კაპ.	თამბაქო, საშუალო ფუთი . . .	850
					და სამზღვარ გარეთ:			
					ლა წიგნის . . . . .	4		
					დაბეჭდილის (სამი მისხალი) . . .	8		